მოსკოვი. 14 ივნისი. (ტელეგრაფით).

მოსკოვის “სპარტაკისა” და თბილისის “დინამოს” მატჩს აუარებელი მაყურებელი დაესწრო. უკვე მე–3 წუთზე ჭკუასელმა გარღვევაზე გაიყვანა ღოღობერიძე, რომელმაც გახსნა ანგარიში. მალე სალნიკოვმა გაიტანა საპასუხო გოლი – 1:1.

შესვენების შემდეგ ჭკუასელმა უძლიერესი დარტყმით დაამთავრა სწრაფი კომბინაცია, მაგრამ მოსკოველებმა მაშინვე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

შემდგომში “სპარტაკის” თავდამსხმელმა ისაევმა 2 ბურთი კიდევ გაიტანა და მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

აღსანიშნავია, რომ მეორე ტაიმში მიღებული ტრავმის გამო სრული ძალით ვერ თამაშობდნენ ღოღობერიძე და გაგნიძე, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თამაშზე.

მოსკოველებმა მოიგეს დუბლიორთ მატჩიც – 4:0.

“ლელო”, 17 ივნისი, 1956 წ.